პროლეტარეტბო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ივნისი საშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 124 (15034)

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან.

ამ შეხვედრების დროს ერთხელ კიდევ ნათლად გამოვლინდა ხალხისა და პარტიის ერთიანობა.

თბილისის № 2 საარჩევნო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძესთან. სურათზე: ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე სიტყვას ამბობს ამომრჩეველებთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ბ. ვახტანგაძისა

მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ კომუნიზმის მშენებლობას

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. პ. მჟავანაძესთან

31 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საზეიმოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის № 2 საარჩევნო საარჩევნო ოლქისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 281 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები. აქ მოვიდნენ მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახალგაზრდა ამომრჩევლები. უაღრესად გულთბილი და გულთბილი იყო მათი შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძესთან.

კრების პრეზიდიუმში ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძესთან ერთად არიან ამხანაგები მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუნერ-ტექნიკური მუშაკები, ბ. დ. ჯაფარიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, თბილისის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების მოწინავენი, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები.

შესავალი სიტყვით შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის დირექტორმა ა. ი. ბუაძემ. მან თქვა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. არჩევნები ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. არჩევნებისათვის მზადების დღეებში რესპუბლიკის მშრომელები ახალი ძალით ცხადყოფენ უსაზღვრო ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი. არჩევნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ ეწყობა სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, რომელმაც მიიღო მეცხრე ხუთწლედში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდებული პროგრამა. საქართველოს მშრომელებისათვის მიმდინარე წელი იმითაც ღირსშესანიშნავია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი.

დეპუტატობის კანდიდატებად საქართველოს მშრომელებმა დაასახელეს თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები, ადამიანები, რომელებსაც ხალხი ანდობს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხთა გადაწყვეტას. დღეს, თქვა ა. ი. ბუაძემ, აქ შევიკრიბეთ, რათა შევხვდეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ქალაქ თბილისის № 2 საარჩევნო საარჩევნო ოლქში და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს № 281 საარჩევნო ოლქში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძეს. ა. ი. ბუაძემ აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა დიდი გარდაქმნები, რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს დიდი წარმატებანი საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ვ. პ. მჟავანაძე მეთაურობს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ძ. ბ. ლომთათიძეს. მან თქვა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები გაიმართება სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში. საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს მოწინავე ადამიანები, რომელთა საქმიანობა საბჭოებში უზრუნველყოფს მშრომელთა განაწესების შესრულებას. და სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი პირველი დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებათა შესრულებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

წინასაარჩევნო კრება, ამომრჩევლებთან შეხვედრა მეტად სასიხარულო და ამაღელვებელი მოვლენაა დეპუტატობის კანდიდატისათვის.

ამომრჩეველთა კეთილი დამოკიდებულება გახარებს, კიდეც ადამიანს და პასუხისმგებლობის გრძნობასაც გიძლიერებს. ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა კი, მოგეხსენებათ, ადვილი ტვირთი როდია.

აი სწორედ ასეთი გრძნობითა და ასეთი შეგნებით მოვდიოდი დღეს ამ წინასაარჩევნო კრებაზე.

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მადლობა გადავუხადო ყველა იმ კოლექტივს, ყველა იმათ, ვინც კვლავ დამასახელა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

დღეს აქ ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა ჩემზე, და გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა ამ კეთილი სურვილებისათვის.

ამომრჩეველთა ამ დიდ ნდობასა და ამ მაღალ შეფასებას მე მთლიანად ვაკუთვნებ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომლის წევრიც მე ვარ. ეს ერთხელ კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი ამომრჩევლები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის პოლიტიკას, იწონებენ მის მოღვაწეობას.

გარწმუნებთ, ამხანაგებო: ძალ-ღონეს არ დავიშურებ და ყველაფერს გავაკეთებ რაც კი შემიძლია, რომ ნამდვილად ვიყო თქვენი ნდობის ღირსი.

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ახლანდელი არჩევნები ფრიად საგულისხმო დროს დაემთხვა.

ეს არის დრო უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანებისა და საყოველთაო პოლიტიკური აღმავლობისა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით არის გამოწვეული.

დრო გადის, და რაც უფრო ხშირად მივმართავთ ყრილობის მასალებსა და დოკუმენტებს, მით უფრო ნათლად და კონკრეტულად წარმოვიდგენთ კომუნისტური მშენებლობის პროგრამის სიდიადეს და მისი განხორციელების გზებს.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ადამიანი. ეს ბუნებრივიც არის. ჩვენი პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხის სამსახურში ხედავს მთელი თავისი მოღვაწეობის დედააზრს.

შორს რომ არ წავიდეთ, ამ ზრუნვის ყველაზე მკაფიო და ნათელი გამოხატულებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

როგორც ცნობილია, ყრილობამ განსაზღვრა, რომ მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ეს ამოცანა რომ დააყენა, ჩვენი პარტია უწინარეს ყოვლისა იმას ითვალისწინებდა, რომ ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზნია სოციალიზმის დროს.

კომუნისტური პარტია მხედველობაში იმასაც იღებს, რომ ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ძლიერების უდიდესი ზრდის მეოხებით ჩვენი ეკონომიური შესაძლებლობანი ამ მხრივ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

ამის შედეგად დღეს ვისახავთ და ვწყვეტთ ისეთ ამოცანებს, რომლებზეც სოციალისტური მშენებლობის პირველ ხანებში მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო.

„ამრიგად — თქვა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ყრილობაზე, — ჩვენი მიზნებიც, გაზრდილი ეკონომიური პოტენციალიც, სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებანიც შესაძლებელსა და აუცილებელს ხდიან უფრო მკვეთრად შემოვაბრუნოთ ეკონომიკა იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას“.

როგორია ჩვენი პარტიის გეგმები, როგორია ჩვენი პროგრამა ამ მიმართულებით?

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია მშრომელთა ფულადი შემოსავლის შემდგომი გადიდება; მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასის გადიდება; გათვალისწინებულია მასწავლებლების, ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სპეციალობათა მუშაკების ხელფასის გადიდება.

გაუმჯობესდება მრავალშვილიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების, წარმოებაში მომუშავე ქალების, პენსიონერების, მოსწავლეების საყოფაცხოვრებო პირობები.

კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება საბინაო მშენებლობა, მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდება კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებას, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას. გაიზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, ამაღლდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა თბილისში

31 მაისს თბილისში, პოლონეთა და მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სავალუტო-საფინანსო საკითხთა მუდმივი კომისიის XX სხდომა.

სხდომაში მონაწილეობენ დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის დ. პოპოვის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ზ. ბიომის მეთაურობით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ც. მოლის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ი. ტრენდოტის მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ფ. დუმიტრესკუს მეთაურობით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა — სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. გარბუზოვის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ლ. ფალუშემის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის რ. რობლიჩეკის მეთაურობით.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმების შესაბამისად სხდომაში მონაწილეობენ იუგოსლავიის დელეგაცია ფინანსთა საკავშირო მდივნის პირველი მოადგილის ა. ზლიჩის მეთაურობით, აგრეთვე ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის წარმომადგენლები ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ჰ. ნაზარკინის მეთაურობით და საერთაშორისო საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლები ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ვ. ვორობიოვის მეთაურობით.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სავალუტო-საფინანსო საკითხთა მუდმივი კომისიის სხდომა გახსნა ამ კომისიის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ვ. გარბუზოვმა. სხდომის მონაწილეთა სახელით მან მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ მთავრობას გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გაუწიეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციებს, ხელშემწყობი პირობებისათვის, რომლებიც შეუქმნეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუდმივი კომისიის ნაყოფიერ მუშაობას.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუდმივი კომისიის XX სხდომა 4 ივნისამდე გასტანს. (საქდესი).

თეატრალური თბილისი ეგებება ძვირფას ძმებს

გუშინ, 31 მაისს სოხუმიდან თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრი, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ დიდი შემოქმედებითი თანამეგობრობით მუშაობს ორი კოლექტივი — აფხაზური და ქართული დრამის კოლექტივები.

ვაგზალში შეიკრიბნენ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. დამხვდურთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, საქართველოს დედაქალაქის ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

ქვირფას სტუმრებს „თაგვტლეები მიაართვეს.

სოხუმის თეატრს ახლავს აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ნ. კიუტი.

აფხაზური დასი (ხელმძღვანელი ნ. ეშბა) 1 ივნისს დაიწყებს თავის გამოსვლებს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში. პირველ საღამოს კოლექტივი უჩვენებს ბ. შინკუბას პიესას „ცოდის სიმღერა“. თეატრალური თბილისი გაეცნობა აფხაზური დრამის კოლექტივის რვა დადგმას. შემდეგ იგი გამართავს გასვლით სპექტაკლებს რუსთავსა და თელავში.

თეატრის ქართული დასი (ხელმძღვანელი ლ. ბაქსაშვილი) გაემგზავრა გორში, სადაც წარდგება მაყურებლის წინაშე ექვსი სპექტაკლით, შემდეგ კი ჩამოვა თბილისში. (საქდესი).

იაპონელი სტუმრები თბილისში

სამ დღეს იყო საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სტუმრად იაპონიის გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა და გამომცემლობების მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელ მოღვაწეთა ჯგუფი. ისინი გაეცნენ რესპუბლიკის ცხოვრებას, მის ღირსშესანიშნაობებს. იაპონიის პროფკავშირთა წარმომადგენლები შეხვდნენ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. გოგიაშვილს, ამ პროფკავშირის აქტივისტებს.

31 მაისს იაპონელი სტუმრები თბილისიდან მოსკოვს გაემგზავნენ. (საქდესი).

საქდესის ცნობა

„მიფრინავს კოსმოს—425“

1971 წლის 29 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-425“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. თანამგზავრზე არის აგრეთვე რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. (საქდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის არჩევნები

25-28 მაისს მოსკოვის მეცნიერთა სახლში მიმდინარეობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. გაიმართა აკადემიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს აკადემიკოსი მსტისლავ ვსევოლოდის-ძე კელდიში.

ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს აკადემიკოსები მ. დ. მილიონშჩიკოვი, ვ. ა. კოტელნიკოვი, ა. ნ. ბელოზერსკი, ა. პ. ვინოგრადოვი, პ. ნ. ფედოსეევი, მ. ა. ლავრენტიევი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. კ. სკრიაბინი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში შეეიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა აკადემიკოსი მდივნები აკადემიკოსები ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, ლ. ა. არციმოვიჩი, მ. ა. მარკოვი, მ. ა. სტირიკოვიჩი, ბ. ნ. პეტროვი, ა. ნ. ნესმეიანოვი, ნ. მ. ჟავორონკოვი, ა. ა. ბაევი, ე. მ. კრეპსი, ი. ვ. პეიგე, ვ. ი. სმირნოვი, ლ. მ. ბრეხოვსკიხი, ვ. მ. ხვოსტოვი, თ. ვ. კონსტანტინოვი, ნ. პ. ფედორენკო, მ. ბ. ხრაპჩენკო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი ს. ვ. ვონსოვსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკადემიკოსი ა. ა. ტროფიმუკი, სსრ კავშირის მეცნირებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. პ. კაპიცა. პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს ალეთეი აკადემიკოსები ა. პ. ალექსანდროვი, ვ. ა. ამბარცუმიანი, ნ. გ. ბასოვი, პ. ლ. კაპიცა, ნ. ვ. მელნიკოვი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ბ. ე. პატონი, ი. გ. პეტროვსკი, ნ. ა. პილიუგინი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. მ. პროხოროვი, ა. მ. რუმიანცევი, ნ. ნ. სემიონოვი, ვ. მ. ტუჩკევიჩი.

28 მაისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე მოისმინეს მოხსენებანი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცალკეულ პრობლემებზე. (საქდესი).

მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ კომუნიზმის მშენებლობას

(დასასრული)

— მე წილად მხვდა საპატიო და ამასთან პასუხსაგები ამოცანა — ვიყო ჩვენი დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, — თქვა ქ. ბ. ლომთათიძემ. მან დაახასიათა ვ. პ. მეავანაძის ცხოვრების დიდი გზა. მთელი მისი ცხოვრება ხალხისადმი ხამსახურის, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო მაგალითია. როგორც ომის წლებში, ისე მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ვ. პ. მეავანაძე შუდამ იყო გადამწყვეტ უბნებზე და პირნათლად ასრულებდა მასთვის დაკისრებულ საქმეს. მან გაიარა სახელოვანი გზა სამხედრო სასწავლებლის კურსანტიდან გენერალ-ლეიტენანტამდე, ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა საბჭოთა არმიის რიგებში. ორატორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ვ. პ. მეავანაძის მოღვაწეობას პარტიულ სამუშაოზე. უკვე 18 წელია, რაც ვ. პ. მეავანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია, ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში. ამუამად საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყოველ 1000 კაცზე უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანთა რიცხვით. უამბო რა დამსწრეთ დეპუტატობის კანდიდატის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, ორატორმა შემდეგ აღნიშნა, რომ ამხანაგი ვ. პ. მეავანაძე დიდად ზრუნავს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებისათვის. ქ. ბ. ლომთათიძე შეკრებილთ მოუწოდებს ერთსულოვნად მისცენ ხმა არჩევნების დღეს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს ვ. პ. მეავანაძეს.

შემდეგ გამოვიდა ნდობით აღჭურვილი პირი — სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ა. პაპინაშვილი.

— ჩვენი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს-ძე მეავანაძე. ელექტროსამშენებლებისათვის ვ. პ. მეავანაძის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია აგრეთვე იმიტომ, რომ მისი უშუალო დახმარებით ახლა ჩვენი სანუკვარი ოცნება — ელექტროსამშენებლობის ჩასახვა და განვითარება. დღესაც ჩვენი კოლექტივი გრძნობს მის ყოველდღიურ ზრუნვასა და დახმარებას. შემდეგ ორატორმა დაწვრილებით გააცნო ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია. იგი 16 წლის ბიბუკი იყო, როცა შრომითი ცხოვრება დაიწყო. 30 წლის განმავლობაში ვ. პ. მეავანაძე იყო საბჭოთა არმიის რიგებში. მისი საბრძოლო დამსახურება დიდი სამამულო ომის წლებში აღნიშნა მთავრობის მთელი რიგი ჯილდოებით. 1953 წლიდან ვ. პ. მეავანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია. იმყოფება რა პარტიულ სამუშაოზე, იგი ბევრ ძალ-ღონეს და ენერგიას ახმარს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას. რა სამუშაოზეც უნდა ყოფილიყო, იგი შუდამ სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. თვალსაჩინო დამსახურებისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

ნდობით აღჭურვილმა პირმა გამოთქვა რწმენა, რომ ოლქის ამომრჩეველნი 18 ივნისს, არჩევნების დღეს, უყლებლივ ყველანი გამოცხადდებიან საარჩევნო უბნებში და ერთსულოვნად მისცემენ ხმას ვ. პ. მეავანაძეს, რითაც ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ შეკავშირებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ცხადყოფენ, რომ მზად არიან წარმატებით განახორციელონ ს.კ.კ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ტრიბუნაზეა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის წარმოების უფროსი შ. ი. პაპიხაძე. მან აღნიშნა თუ რა წარმატებებით ეგებებიან არჩევნებს ჩარხმშენებლები, რომლებმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეავანაძე. საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. წარმატებით შესრულებულია პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმაც. საწარმოს მრავალთასიანი კოლექტივი, თქვა მან, ისე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, კარგად იცნობს ამხანაგ ვ. პ. მეავანაძეს, იცის, თუ რა დიდი წვლილი შეაქვს მას საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში, ორატორმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ არჩევნების დღეს № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველნი ერთსულოვნად მისცემენ ხმას ერთგულ ლენინელს, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს ამხანაგ ვ. პ. მეავანაძეს და ამით ხმას მისცემენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სიტყვა წარმოთქვა თბილისის ქარხანა „ელექტროზოლიტის“ მტვიფრავმა ვ. ფ. მოტინაძემ. მან დიდი გულითადობით ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის, ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მეავანაძის შესახებ. ჩვენ, მუშები, პატივცემულო ვასილ პავლეს-ძევ, თქვა მან, უალრესად მადლობელი ვართ, რომ მიუხედავად სახელმწიფო საქმეების გამო მოუცლელობისა, თქვენ შუდამ ღრმად სწვდებით ჩვენს ცხოვრებას, მუშათა კლასის საჭიროებებს, გვეხმარებით თქვენი ძვირფასი რჩევა-დარიგებით. დიდი ცვლილებები მოხდა წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაშიც და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრებაშიც. დამშვენდა ძველი თბილისი, ბევრად გაუმჯობესდა მშრომელთა საბინაო პირობები, მათი კეთილდღეობა. ჩვენ, თქვა შემდეგ ორატორმა, ვამაყობთ ჩვენი მშვენიერი მომავლითაც, გვიხარია, რომ წილად გვხვდა უდიდესი პატივი — განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული წინასწარგანსაზღვრული ამოცანები, რომლებიც სავსებით და მთლიანად გამსჭვალულია მშრომელი ხალხისათვის ზრუნვით. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პარტიის ზრუნვას უპასუხებენ თავდადებული შრომით და გაიჯაჭვებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, მოიპოვებენ კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის მუშათა სახელით ორატორმა მოუწოდა ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს ვ. პ. მეავანაძეს.

აღფრთოვანებული სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა ამომრჩეველმა, თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ბ. თევზაძემ.

— 18 ივნისს, თქვა მან, პირველად მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში. ვხარგებლობ რა საბჭოთა კონსტიტუციით მონიჭებული დიდი უფლებით, სიხარულით მივცემ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ კანდიდატს, ახალგაზრდობის დიდ მეგობარს ვ. პ. მეავანაძეს. შემდეგ მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა უყურადღებით არის გარემოსილი ახალგაზრდობა ჩვენს ქვეყანაში, რომ სწორედ ჩვენმა ქალიშვილებმა და ბაბუკებმა უნდა განაგრძონ ღირსეულად საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ახალგაზრდა ამომრჩეველმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობს მამების — უფროსი თაობის — ბრძოლის, შრომის ... ტრადიციებს.

სიტყვა ეძლევა დიასახლისს, [illegible] ... ჩვენი, ომამავალშვილებელთა დების მეგობრებო, [illegible] ... ომ. ... ომ. ... ომ.

მსოფლიო დღეს

საბჭოთა და ეგვიპტელი ხალხების ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა

საზღვარგარეთის პრესა, რადიო და ტელევიზია კვლავ ფართოდ განმარტავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ს. ხოლოშინის კაიროში ვიზიტის დროს. მსოფლიო პრესა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ნაკარნახევია ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვით და ახალ დარტყმას აყენებს საერთაშორისო იმპერიალიზმის გეგმებს.

კაირო. „ეს ხელშეკრულება შეშფოთებულ აგვირგვინებს ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის ხალხების პატიოსან მეგობრობას, — აღნიშნავს „ალ გუმჰურია“. უფრო მეტიც, იგი პოზიტიური წინადადებულია ნაბიჯია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში და მნიშვნელოვნად იდიდებს ეგვიპტელი ხალხის შესაძლებლობებს თავისი მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, წერს გაზეთი „ალ-ახბარი“, ბოლოს მოუღებს მრავალრიცხოვან ხმებს, რომლებსაც ავრცელებენ უწინარეს ყოვლისა დასავლეთისა და სიონისტური წრეები, თითქოს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობა „გაუარესდა“ ან „იწყებს გაუარესებას“.

დადებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ და პირდაპირია ნათქვამი, რომ ეს ურთიერთობა ვითარდება ლოგიკურად, საერთო მიზნის მისაღწევად, სახელდობრ — იმპერიალისტური, სიონისტური აგრესიის ლიკვიდაციისათვის.

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესის წამყვანი ორგანოების საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ხელშეკრულების დადება მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის უდიდეს წარმატებად.

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „საკმაოდ შორს მიდის ორი ქვეყნის ურთიერთობის შედეგებების საქმეში“, და ვაშინგტონმა „გარკვეული დროით უარი უნდა თქვას ყოველგვარ აზრზე“, რომ სსრ კავშირის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში შეიძლება შესუსტდეს.

ტოკიო. იაპონიის წამყვანი გაზეთები ფართოდ განმარტავენ სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის კაიროში დადებულ ხელშეკრულებას.

„ასახი“ ხაზს უსვამს, რომ კაიროში გამართული მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ დაადასტურა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური გადაჭრის კურსი.

„ტოკიო სიმბუნი“ წერს, რომ შეხვედრების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის ურთიერთობის განმტკიცების საკითხები და შეთანხმდნენ პარტიათა ურთიერთობის განვითარებაზე.

ლონდონი. ინგლისის გაზეთები, და კერძოდ „სანდი ტაიმსი“, სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებას უწოდებენ საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებას.

როგორც „ტაიმსი“ აღნიშნავს, ბევრ მეთვალყურეს კაიროში დადებული ხელშეკრულება მიაჩნია ეგვიპტის მიერ ახლო აღმოსავლეთის საკითხში დასავლეთს და განსაკუთრებით შეერთებული შტატების პოზიციის დაგმობად.

კაიროს ოფიციალურ პირთა განცხადებების თანახმად, წერს „გარდიანი“, ახალი ხელშეკრულება კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობის განმტკიცების გზაზე. (საკდესი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

● **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების** კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ რატიფიკაციისათვის წარადგინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახალხო კრებაში.

● **კანადელებმა** დიდი კმაყოფილებით აღიქვეს შედეგები კანადის პრემიერ-მინისტრის პიერ ელიოტ ტრიუდოს ვიზიტისა საბჭოთა კავშირში. პრესა რწმენას გამოთქვამს, რომ ტრიუდოს ვიზიტი მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგებასა და ნდობას.

● **„ეარაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა** და სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხარდაჭერის პოლიტიკას თავისი ტერიტორიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ დიდად ვფასობთ საბჭოთა კავშირის უცვლელ პოზიციას, რომელიც მატერიალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს არაბებს, პოზიციას, რომლისგანაც სსრ კავშირს ერთი ნაბიჯითაც კი არ გადაუხვევია“, — განაცხადა ლაბანის პრემიერ-მინისტრმა საიდ სალამმა.

● **„ბრიტანეთის ანჯელა დევისის** დამცველმა კომიტეტმა“ მთელ დიდ ბრიტანეთში გაშალა აქტიური კამპანია ხელმოწერის შეგროვებისა პეტიციაზე, რომელიც მოითხოვს ამერიკელი კომუნისტის განთავისუფლებას.

● **რამდენიმე დღის წინათ** ქალაქ დრუში (მისისიპის შტატი) რასისტებმა მხეცურად მოკლეს 18 წლის ზანგი ქალიშვილი დოროთი კოლიერი, რომლის დაკრძალვა გადაიქცა ზანგი მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციისა და თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის და გულისწყრომას დემონსტრაციად. სამგლოვიარო მიტინგზე რასიზმის მამხილებელი მრისხანე სიტყვა წარმოთქვა აშშ-ის ეკლესიათა მეთაურებმა, ებენ-ეზერმა ლიდერმა რალფ აბერნეთმა.

● **ამერიკიდან ბრაზილიაში** ჩასვლამდე „ოფიციალურად შეიარაღებული 100-ზე მეტი პოლიციელი თავს დაესხა დღეს ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეთა დიდ ჯგუფს ქალაქ ლექსინგტონში (მასაჩუსეტსის შტატი) და ბევრი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის არიან ვიეტნამის ომის ვეტერანები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ომის წინააღმდეგ.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲙᲣᲒᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲙᲐᲒᲔᲜᲘᲚᲘ

საქართველოს რესპუბლიკის წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში საბჭოთა კავშირის მტკიცე მიღწევათა განუყოფელი ნაწილია, განაცხადა კუბის რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა, ვაჭრობის მინისტრმა სერაფინ ფერნანდესმა. 31 მაისს ს. ფერნანდესი და მისი თანამხლები პირნი მიიღეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში.

ვაჭრობის მინისტრი ვ. თოხაძე გულთბილად მიესალმა კუბელ კოლეგებს, გააცნო მათ საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სისტემა. მერვე ხუთწლიის მანძილზე, თქვა ამხ. თოხაძემ, საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში 51 პროცენტით გაიზარდა. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ საქონელბრუნვის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. გაფართოვდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით ვაჭრობა. ფართოდ დაინერგება ვაჭრობის პროგრესული ფორმები.

სერგეი ფერნანდესმა, რომელიც ეწვია რესპუბლიკის მთელ რიგ მაღაზიებს, უნივერმაღებს, სასადილოებსა და რესტორანებს, აღნიშნა, რომ შეიქმნა წარმოდგენა საქართველოში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დიდი გაქანების შესახებ. ყველფერი, რაც კეთდება ამ მიმართულებით, — თქვა კუბელმა მინისტრმა, — მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობას. ს. ფერნანდესმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფ. ისაევი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. შიხაშვილი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ფ. კავთიაშვილი, ბ. რეხვიაშვილი, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრები რ. კურატაშვილი, ნ. ბიბილეიშვილი, ვ. კოტლიაროვი. (საქდესი).

ᲙᲐᲘᲠᲝ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

31 მაისი. (საკდესი). სამი არაბული სახელმწიფოს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლიბიისა და სირიის ფედერაციის კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელმა კომიტეტმა სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ჰუსეინ აშ-შაფიის თავმჯდომარეობით, დაამთავრა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, პროექტი შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში მოცემულია ფედერაციის განსაზღვრა, აგრეთვე მისი შექმნის მიზანი.

მეორე თავში ლაპარაკია ფედერაციის იმ სხვადასხვა ინსტიტუტის ფუნქციებზე, რომლებიც გადაწყვეტენ თავდაცვის, ეროვნული უშიშროების, ეკონომიკის, განათლების, კულტურისა და მეცნიერული კვლევის საკითხებს.

კონსტიტუციის პროექტის თანახმად, ფედერაციის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება პრეზიდენტის საბჭო, საკანონმდებლო-ეროვნული კრება და სასამართლო-კონსტიტუციური სასამართლო.

უკანასკნელ თავში განსაზღვრულია ფედერაციაში შესვლის წესი.

ᲙᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

31 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ლეირდი გუშინ ვაშინგტონში დაბრუნდა ბრიუსელიდან, სადაც მონაწილეობდა ნატოს თავდაცვის კომიტეტის თათბირის მუშაობაში. ისევე როგორც შარშან, კომიტეტის მუშაობა წარიმართა ამ აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის განსამტკიცებლად აშშ-ის შემდგომი მეცადინეობის ნაშნით.

როგორც ამერიკის პოლიტიკური მამამძღოლები წერენ, ლეირდმა ყოველი ღონე იხმარა, რათა ეიძულებინა ევროპელი მოკავშირეები გაეზარდათ თავიანთი წვლილი ნატოში. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი კვლავ საბჭოთა საფრთხით დაემუქრა მათ და დაბეჯითებით მოითხოვა ბლოკის, უწინარეს ყოვლისა მისი სამხრეთი ხმელთაშუა ზღვის ფლანგის განმტკიცება.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, ლეირდმა, მიეხო რა საბჭოთა წინადადებას, რომ ევროპაში შემცირდეს შეიარაღებული ძალები და იარაღი, „გადაჭრით მოუწოდა ევროპელ მოკავშირეებს აწარმოონ მოლაპარაკება ძალის პოზიციებიდან“.

გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“, რომელიც აშუქებს ნატოს კომიტეტის ბრიუსელში მუშაობის შედეგებს, აღნიშნავს: მიუხედავად ამისა, რომ ლეირდმა „სერიოზულად სცადა ზეგავლენა მოეხდინა მოკავშირეებზე“, ისინი „დიდ ენთუზიაზმს არ იჩენენ ლეირდის იდეის გამო — გაზარდონ სამხედრო ძალები ხმელთაშუა ზღვაში“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ლეირდმა მოსთხოვა იტალიას, საბერძნეთსა და თურქეთს გაზარდონ თავიანთი სამხედრო-საზღვაო ძალების რიცხვი ამ რაიონში.

ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ „ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲠ-9“

ნიუ-იორკი, 31 მაისი. (საკდესი). 30 მაისს ღამით შეერთებულმა შტატებმა მარსის მიმართულებით გაუშვა კოსმოსური სადგური „მარინერ-9“. სადგური განკუთვნილია პლანეტის გამოსაკვლევად. დღევანდელი გაშვება მოხდა იმ მარცხის შემდეგ, რომელიც „მარინერ-8“ სადგურს შეემთხვა 8 მაისს.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

დელი, 31 მაისი (საკდესი). ინდოეთში სწრაფად იზრდება მოსახლეობა. ამას წინათ მოწყობილი აღწერის მონაცემებით ათი წლის მანძილზე — 1961-დან 1971 წლამდე — ინდოეთის მოსახლეობა გაიზარდა 24,57 პროცენტით.

აღწერის მონაცემებით, ინდოეთის მოსახლეობა 1971 წელს შეადგენს 547 მილიონს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ



ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, რომელიც პირველად მოხვდება ბულგარეთის სოფელში, აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ყველაზე დიდ შენობას. ეს არის ჩიტალიშტე — ადგილობრივი კლუბი თუ კულტურის სახლი — დღევანდელი ბულგარელი სოფლის ღირსშესანიშნაობა. პატარა სამკითხველოები ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუაწლებში იქმნებოდა. მათ რევოლუციური დემოკრატები ხსნიდნენ. ფაშისტებისაგან ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ კულტურის ეს კერები ყველგან გაიხსნა. დღეს ძნელია მოინახოს სოფელი, სადაც არ იყოს კულტურისა და განათლების ეს ტრადიციული კერა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ქალაქ ტროას მახლობლად მდებარე სოფელ ორეშაკის ჩიტალიშტეს.

ფოტო ბტა-საკდესისა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

28 მაისს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროში ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, რომლებიც ითვალისწინებენ: იმ კრედიტის თანხის გადიდებას, რომელსაც სსბ საბჭოთა კავშირი აძლევს ჩილეს რესპუბლიკას მანქანებისა და მოწყობილობის შესასყიდად, და ამ კრედიტის ვადის გაგრძელებას; იმ საქონლის ნუსხათა დადგენას, რომელიც შეიძლება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის საგანი გახდეს; ჩილეში სსრ კავშირის საავაჭრო წარმომადგენლობისა და საბჭოთა კავშირში ჩილეს საავაჭრო წარმომადგენლობის გახსნას; საბჭოთა კავშირ-ჩილეს შერეული კომისიის შექმნას ორი ქვეყნის ვაჭრობის განვითარების მსოფლიოსისადმი მეთვალყურეობისათვის.

ამავე დროს ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, რომელთა თანახმად საბჭოთა კავშირი დაეხმარება ჩილეს რესპუბლიკას საბაზო ზეთების ქარხნის და სახლსაშენებელი კომბინატის შენებლობაში, აგრეთვე შეისწავლიან სხვა დარგებში თანამშრომლობის შესაძლებლობას.

დოკუმენტებს ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პაროლინერმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა, ჩილეს მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრმა კლოდომირო ალმეიდა მედინამ. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲩᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲚ

პრაღა. 29 მაისი. (საკდესი). პრაღის გამომკითხველობა „სვობოდამ“ ბროშურად გამოუშვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის მასალები. ბროშურაში შეტანილია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ყრილობაზე გაკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა, და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐ

ᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულისტმა, დოქტორმა **ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲛᲐᲓᲔᲠᲛᲐ** დაწერა წიგნი, რომელშიც ამხილებს ნაცისტების საიდუმლო კავშირს სიონისტებთან. წიგნში აღწერილია მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდნენ ოცდახუთი წლის წინათ, მაგრამ მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალობა. ვბეჭდავთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ სს-სდ-სა და სიონისტებს შორის 1944 წლისათვის საკმაოდ გამოცხადდა. ფაშისტები პირადი უსაფრთხოების გარანტიას აძლევდნენ საზღვარგარეთის წამყვან სიონისტებს გერმანიაში ჩამოსვლისას, სიონისტები თავის მხრივ უზრუნველყოფდნენ სს და სდ-ს მაღალი პირებისათვის დაუბრკოლებელი მიმოსვლის საშუალებას ისეთ ნეიტრალურ ქვეყნებში, როგორიც არის შვეიცარია და შვედეთი. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ამ სამსახურების თანამშრომლების სახელები უკვე შეეკრიბოდათ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების მიერ შედგენილ სამხედრო დანაშაულთა სიებში.

1944 წლის მარტში სს-ის ობერშტურმბანფიურერი ადოლფ ეიქმანი შეუდგა „ისრაელთაგან უნგრეთის განთავისუფლებას“. რამდენიმე თვეში ფაშისტებმა 590 ათასი უნგრელი ებრაელი მოსპეს. როგორ მოეკიდნენ სიონისტები ამ მასობრივ მკვლელობას? სტატიაში „ისტორია თავის სასჯელს გამოუტანს ნაცისტებს ისრაელი სააგენტოსა და სიონისტური მოძრაობის ლიდერებს“.

ცნობილი უნგრელი ისტორიკოსი და საერთაშორისო ექსპერტი ნაცისტ სამხედრო დანაშაულთა პროცესებზე ენე ლენანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განაცხადა: ბრალი უნგრელ სიონისტებსაც ედებაო.

სს-ის ხელმძღვანელებმა სიონისტებს ბინძური გრაფიკი შესთავაზეს — „გაცვალეთ ისრაელები საქონელზე“, ე. ი. ერთი მილიონი ადამიანი ათი ათას სატვირთო მანქანასა და სხვა სამხედრო საჭურველზე.

სიონისტთა მხრიდან მოლაპარაკებას ნაცისტებთან აწარმოებდნენ სდ-ს აგენტი ბანდი დიერდ-გროსი, დოქტორი რუდოლფ (რემე), კასჩნერი, ეიოლ (ენე) ბრანდი და მისი მეუღლე განსი, მიკლოშ (მოშე) კრაუსი, ანდორ ბასი, ინჟინერი ოტო კომოლი, სულემ ოფენბახი, ინჟინერი რაიპარდი და დოქტორი მოშე შვაიგერი. მოლაპარაკების მონაწილეს, სს-ის შტანდარტენფიურერს ბეჰერს ეხმარებოდნენ სიონისტები იენაე აუსპიეი, ლილიან ბრაუნი, იულიუს ეკერი, ვერა გულიასი, გეორგ კრამერი, მარტინ შტერნბერგი, ნიკოლაუს ვაისი.

მიკოლოშ კრაუსი ბუდაპეშტში ხელმძღვანელობდა ებრეოფოდებულ პალესტინის განყოფილებას — პალესტინის ისრაელთა საგენტოს ფილიალს, იურისტი დოქტორი კასჩნერი (რუმინეთიდან) 1933 წლიდან მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაციის მუშმეი დელეგატი იყო, 1938 წლიდან კი ტრანსილვანიის სიონისტური კავშირის აღმასრულებელი კომისიის პრეზიდენტი, ამავე დროს უნგრეთის სიონისტური კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და ისრაელის საგენტოს ფუნქციონერი. მისი ნაცნობი იურისტი დოქტორი ბ. შვაიგერი (ახლა მას საადვოკატო პრაქტიკა აქვს ტელ-ავივში და ბარ ცვის სახელს ატარებს) შედიოდა ისრაელის საგენტოს ლონდონის საბჭოში და მსოფლიოს სიონისტურ-სოციალისტურ კავშირში „იშუდში“.

შტანდარტენფიურერმა ბეჰერმა და დოქტორმა კასჩნერმა დოქტორი შვაიგერი აირჩიეს განსაკუთრებული „საქმისათვის“. მას ფრთხილად უნდა გადაეტანა მილიონობით თანხა პალესტინაში. ამიტომ შტანდარტენფიურერმა ბეჰერმა პირადად წამოიყვანა იგი მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის „ერიგილეგერეფერული ბლოკიდან“ (ბლოკი I).

საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს მეექვსე განყოფილების უფროსმა გრუპენფიურერმა ვალტერ შელენბერგმა, რასაკვირველია, იცოდა ბუდაპეშტის მოლაპარაკების შესახებ. თავის მოგონებებში იგი წერდა, რომ „დოქტორი კასჩნერი შტანდარტენფიურერ ბეჰერის მუდმივი თანამგზავრი იყო“, რომ იგი ხალი მაირის მეკავშირე“ და „ჯოინტის“ წევრი იყო (იგულისხმება ამერიკელ ებრაელთათვის დახმარების გამწევი გაერთიანებული კომიტეტი“, რომელსაც სიონისტები ხელმძღვანელობდნენ).

ოფიციალურად „ჯოინტი“ თავის თავს „მსოფლიოში ისრაელთა უდიდეს ურთიერთდამხმარე ორგანიზაციას“ უწოდებდა. მისი კაპიტალი ერთ მილიონ დოლარს აღემატებოდა. მაგრამ „ჯოინტი“ მშრომელთა ინტერესებისათვის შექმნილი საქველმოქმედო ორგანიზაცია როდი იყო.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐ

ᲧᲐᲚᲐᲗᲛᲐ ეიქმანმა გულახდილად განუცხადა 1944 წლის მაისში ჟოელ ბრანდს და კასჩნერს: „მე თქვენ შესანიშნავ საშუალებას მოგცემთ მილიონობით ისრაელთა გადასარჩენად... ფული მე არ მჭირდება... მე მჭირდება სამხედრო მასალები და პირველ რიგში სატვირთო ავტომანქანები“.

ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“ 1944 წლის 20 ივლისის ნომერში სათაურით „ებრაელებს სამხედრო იარაღზე ვცვლით“ წერდა: „ებრანელის ხელისუფლებამ გააკეთეს ან მხარი დაუჭირეს წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ცოცხლად დარჩენილ უნგრელ ებრაელთა გაცვლას სამხედრო იარაღზე, იმ პირობით, რომ ეს იარაღი, როგორც მათ განაცხადეს, არ იქნება გამოყენებული დასავლეთის ფრონტზე“. გაზეთი აგრეთვე იტყობინებოდა, რომ ჰიტლერულ გერმანიას ებრაელთა სანაცვლოდ უნდოდა მიეღო 10 ათასი სატვირთო მანქანა. გერმანია ერთხელ კიდევ ადასტურებდა, განაგრძობდა „ტაიმსი“, რომ სამხედრო იარაღი და საჭურველი გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ და არამც და არამც ინგლისა-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ.

ხალხების რეაქცია, რომელიც ანტიფაშისტურ კოალიციაში მონაწილეობდნენ, ისეთი იყო, რომ ინგლისელები იძულებული იყვნენ ორივე სიონისტისა და ნაცისტთა აგენტების დიერდ-გროსისა და ბრანდის ინტერნირება მოეხდინათ. სამაგიეროდ საერთაშორისო სიონისტურმა ორგანიზაციებმა 1944-1945 წლებში განაცხადეს, რომ ნაცისტების მიერ უნგრელ ებრაელთა განთავისუფლების შემთხვევაში მზად არიან იარაღით მოამარაგონ ჰიტლერელები იმ პირობით, თუ ეს იარაღი გამოყენებული იქნება მხოლოდ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სიონისტებმა თავიანთი სამსახური შესთავაზეს მესამე რაიხს კაპიტულაციის პირობებზე მოლაპარაკებისას, თუ გერმანელები იარაღს დაპყრობდნენ დასავლეთის სახელმწიფოების ჯარების წინაშე...

1944 წლის შუა თვეებში, როდესაც ულმობლად ახლოვდებოდა ჰიტლერული გერმანიის აღსასრული, სს-ი ცაბატნოტში აღმოჩნდა. დაინიშნა ახალი „ფასი“: ათასი დოლარი ყოველ ისრაელზე. გადახდა უნდა წარმოებულიყო გერმანიაში ვალუტით ან გადარიცხვით. საის საზღვარგარეთის ანგარიშზე. კასჩნერი ამბობდა: „ეაადასმა“ (ეაადარჩენის სიონისტური ორგანიზაცია) მთელი ალღები წარმართავს 5 მილიონი ფრანკის შეკავებულად. ადგილები ემილოსნში ელოდათ იმათ, ვისაც შეეძლო მეტი ძვირფასეულობა და ფული შეეტანა“.

სს-ის შტანდარტენფიურერმა ბეჰერმა მოკლე დროში სიონისტებისაგან მიიღო 200 ათასი დოლარი, 100 ათასი შვეიცარიული ფრანკი, 700 ეგვიპტური ფუნტი, ორი ათასი ფრანგული ოქროს ნაპოლეონდორი, 500 ინგლისური ფუნტი და ოქროს 500 მონეტა, 214 უნგრული ოქროს მონეტა, 200 კილოგრამი ოქროს ნივთების ჯამი, 750 გრამი პლატინა, 225 ბრილიანტი, ფასიანი ქაღალდები, უამრავი აქციები და ა. შ.

მაგრამ ბეჰერისათვის ესეც ცოტა იყო. გამოთვალისწინა რა „ტაიმსში“ მამხილებული სტატიის გამოქვეყნება, მან მოითხოვა ამ გარიგების აბსოლუტური საიდუმლოება. გარდა ამისა, „ტაიმსის“ სტატიის პასუხად სიონისტებმა კასჩნერის გარემოცვიდან გეშტაპოს მოსცეს 2 ათასი ისრაელი პარაშუტისტი, რომლებიც ინგლისელებმა გადასხეს პალესტინიდან უნგრეთში.

1944 წლის 30 ივნისს ებრაელებით სავსე პირველი ეშელონი გავიდა უნგრეთიდან ბერგენ-ბელზენის მიმართულებით. ეშელონში 1.648 კაცი იყო. უმეტეს შემთხვევაში ესენი შეძლებენ მათი კანონიერი ანგარიშგასაწევი ადამიანები იყვნენ, მათ შორის კასჩნერის ნათესავები და მთელი რიგი სიონისტური აქტივისტები. ეშელონი პალესტინაში მიდიოდა და მშვიდობიანად მიაღწია შვეიცარიას. ამავე დროს სს-ის შტურმბანფიურერი ჰანს ეგენი საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსმა გრუპენფიურერმა ვალტერ შელენბერგმა, რასაკვირველია, იცოდა ბუდაპეშტის მოლაპარაკების შესახებ. თავის მოგონებებში იგი წერდა, რომ „დოქტორი კასჩნერი შტანდარტენფიურერ ბეჰერის მუდმივი თანამგზავრი იყო“, რომ იგი ხალი მაირის მეკავშირე“ და „ჯოინტის“ წევრი იყო (იგულისხმება ამერიკელ ებრაელთათვის დახმარების გამწევი გაერთიანებული კომიტეტი“, რომელსაც სიონისტები ხელმძღვანელობდნენ).

ოფიციალურად „ჯოინტი“ თავის თავს „მსოფლიოში ისრაელთა უდიდეს ურთიერთდამხმარე ორგანიზაციას“ უწოდებდა. მისი კაპიტალი ერთ მილიონ დოლარს აღემატებოდა. მაგრამ „ჯოინტი“ მშრომელთა ინტერესებისათვის შექმნილი საქველმოქმედო ორგანიზაცია როდი იყო.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲚ

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲓᲐᲚᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ?

„ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ რევოლუციის“ წლებში უამრავი კადრის მუშაკი ჩამოაშორეს სახელმწიფოებრივ, პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. დაისვა საკითხი: რა უნდა ექნათ მათთვის?

გადაყენებულ კადრის მუშაკთა „მოწყობა“ შემოსეს ადრე გამოყენებული — „კულტურული რევოლუციის“ დროს კი რამდენჯერმე განაცხადებული — „შრომითი ხელახალი აღზრდის“ ფორმით. ამას დასაბამი მისცა, როგორც ჩინეთის პრესა ადასტურებს, მაო ძე-დუნის განკარგულებამ: „გავგზავნოთ კადრის მუშაკთა ფართო მასები ფიზიკური შრომისათვის. ეს მეტად კარგი შემთხვევაა კადრების ახლებურად სწავლისათვის. ასე უნდა მოვიქცეთ ყველას... კადრის მუშაკები, რომელთაგან თანამდებობები უკავიათ, ასევე ჯგუფ-ჯგუფად უნდა გავგზავნოთ ფიზიკური შრომისათვის“.

პირველი ასეთი სკოლა 1968 წლის მაისში შეიქმნა ხეილუნძიანის პროვინციის დაბა ლიუხეში. იქ უმთავრესად გავგზავნეს წინანდელ საპროვინციო დაწესებულებათა თანამდებობიდან გადაყენებული კადრის მუშაკები. პეკინის პრესამ ამ „სკოლას“ რეკლამა გაუწია როგორც ნიმუშს მთელი ქვეყნისათვის. ამის შემდგომ გაიშალა ამგვარ „სკოლებში“ ძველ პარტიელთა, კადრის მუშაკთა, ინტელიგენციის გადასახლების მასობრივი კამპანია.

ლიუხეში, როგორც „ენმინ ჟიბაო“ წერდა, „ხელახლა აღზარდეს“ 141 კაცი, ახლა კი იქ დაახლოებით 2 ათასი „მსმენელია“. იმავე გაზეთის ცნობით, ახლე მეტ „7 მაისის სკოლაში“*) 90 ათასამდე კადრის მუშაკი იმყოფება.

„7 მაისის სკოლების“ ორგანიზაციის ძირითადი მიზანი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ განეცალკევებინათ ყოფილი კადრის მუშაკები, დაეტესტათ ინტელიგენცია, ეიძულებინათ „ლიტერატურნაია გაზეთა“, 1971 წლის 26 მაისი. იხეკუდება შემოკლებით.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 105, 113, 117.

* „7

დღეს თბილისში გასტროლებს იწყებს აფხაზური დრამატული თეატრი

შეხვედრა დედაქალაქის მაყურებელთან

პირველ ივნისს იწყება სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები ქ. თბილისში. ამ დიდი და პასუხსაგები მოვლენისათვის მთელი ჩვენი კოლექტივი დიდი მონდომებით ემზადებოდა.

თბილისში ჩვენი თეატრი ცამეტი წლის წინათ, 1958 წელს იყო აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კოლექტივის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა—თეატრი შეიძსო ახალი შემოქმედებითი კადრებით. ბევრი წამყვანი ავტორი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ ვდილავთ, რადგანაც ყველას მოგვიხდება შეხვედრა არა მარტო მომთხოვნ თბილისელ მაყურებელთან, არამედ ამასთან ერთად ჩვენს აღმზრდელ პედაგოგებთანაც, რომელთა წინაშე უნდა ჩავაბაროთ სიმწიფისა და ოსტატობის გამოცდა.

თბილისელი მაყურებელი ჩვენს რეპერტუარში ნახავს ისეთ სპექტაკლებს, როგორიც არის ბ. შინკუბაძე — „ალდის სიმღერა“, ჟ. რობერის — „მარი-ოქტომბერი“. გ. იბსენის — „მოჩვენებანი“, ფ. შილერის — „დონ კარლოსი“, გ. ლორკას — „სისხლიანი ქორწილი“, რ. გამზათოვის „მთიელი ქალი“.

რეპერტუარი, როგორც ხედავთ, რთული და მრავალფეროვანია.

აფხაზურ თეატრს ყველა საუკეთესო სპექტაკლი ჩამოაქვს საგასტროლოდ თბილისში.

ქართული თეატრის რეპერტუარში შედის ისეთი სპექტაკლები, როგორიც არის ვაჟა-ფშაველას „მთები მაღალნი“ (ინსცენირების ავტორია გ. ხუხაშვილი), ა. გასვიანის — „მამა, დააგდე თოფი!“, გ. ლორკას — „ბერნარდა ალბას ოჯახი“, ნ. პოგოდინის — „პატარკას სონეტი“, ვ. ჰიუგოს — „მარია ტიუდორი“, ჯ. პრისტლის — „სახიფათო მოსახვევი“.

პირველიდან 6 ივნისამდე თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გასტროლები ექნება აფხაზურ თეატრს, ხოლო რვიდან 13 ივნისამდე — ქართულ თეატრს. 2-6 ივნისს ქართულ თეატრს გასტროლები ექნება ქ. გორში, ხოლო 8 ივნისიდან აფხაზური თეატრი სპექტაკლებს გამართავს რუსთავში, ცხინვალსა და გორში.

ორივე კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგება საინტერესო აქტიორული ნამუშევრებით.

აფხაზური დრამიდან საინტერესო სახელებს გვიჩვენებენ მსახიობები ლ. კასლინსკია, რ. აგრბა, ა. კონოშოკი, მ. ზუხბა, ახალგაზრდა მსახიობები ნ. კამკია, ს. აგუმა, ა. ერმოლოვი, შ. გიცბა, ს. დბარი, ზ. კოვი, ე. კოღონია, ს. საქანია და სხვები; ქართული დრამიდან — მ. ჩუბინიძე, ბ. თოფურიძე, ლ. ფილფანი, გ. ხურციელავა, თ. ბოლქვაძე, ვ. ნეფარიძე, ნ. ყიფიანი, ს. ჰაჯორია, ნ. მიქაშავიძე, ლ. მიქაშავიძე და სხვები.

ჩვენ გვჯერა, რომ დიდად საინტერესო შემოქმედებითი შეხვედრები გვექნება საქართველოს დედაქალაქის მაყურებლებთან.

ნელი ეშბა,
სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და აფხაზური დასის მთავარი რეჟისორი.

სურათებზე: სცენები სოხუმის აფხაზური დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლებიდან. მარცხნიდან: ბ. შინკუბას „ალდის სიმღერა“. ხაჯარათი — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ლ. ავიძბა, ბადრი — მსახიობი ჭ. ჯენია; ჟ. რობერის „მარი-ოქტომბერი“. ტიბო — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ო. ლაგვილავა, მარი-ოქტომბერი — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ე. კოღონია, ლე გუეენი — მსახიობი ვ. კოვე.

ფოტო მ. ტარასოვისა.

აქ ოდითვე აკვნესებდა მწყემსი სალამურს.

ამ ღალიან-ბარაქიან მიწასაც უწოვნიდა ძუძუ ქართველი კომპოზიტორებისათვის, სიჭაბუკის ჟამს ალაზნის დუდუნს რომ შეხმიანებიან, ნოტების ენით რომ გადმოუფრქვევიათ მღელვარე სულის კარნახი — საამო ქართული ჰანგები...

სანდრო ინაშვილსა და მიშელ დარიალს (ნანობამვილს, შემდგომში პარიზის „ტრანდ ოპერის“ პრემიერს) მთვარიან ღამეს აქ უსწავლიათ მეურმისაგან ტკბილი ურმული...

ალაზნის ჭალებიდან, სადაც გრილი ნიავი მწიფე ყანებს ნატიფი ქსოვილივით ააშრიალებს, სადაც ბატარაძეოვით მკერდსავსე ვაზები შემოდგომაზე საქორწინოდ ემზადებიან; ცივგომბორის მთის ფერდობებიდან, სადაც დროჟამისგან ხავსმოკიდებულ ციხე-გალავანს ფოთოლშემოძარცული ბუჩქები ზამთრობით უმწეო ობლებივით შეკედლებიან და გაზაფხულზე მწვანედ ათქვირებულნი, გულგადამლილნი ყვავილთა ფანტელებს აყრიან, თითქოს გადარჩენასა და მტერზე გამარჯვების ზეიმს ულოცავენ; ამაყად გადამზირალი პატარა ქალაქიდან, რომლის ნატყვიარ ბურჯებსაც კავკასიონზე ახლად ფეხშედგმული

გამთელებული სალამური

ვანოობა—სიმღერის დღესასწაული სიღნაღში

მზე სხივებს ბედნიერი დღის მაუწყებელ პირველ ელჩებად უგზავნის; აი აქედან, მშვენიერების „ღმერთების“ სამეფოდან არ შეიძლება არ აფრენილიყო ბულბული, რომელიც სიმღერას ჭირში მალამოდ მოაცხებდა ქართველი ადამიანის სულს, ლხინში კი სანავარდო ფრთას მძლავრად გააშლევინებდა...

დიახ, 1879 წელს წამოფრინდა კიდეც ეს ბულბული. მისი გვარი და სახელი ვანო სარაჯიშვილია, აკვანი — სიღნაღი, სილამაზით განთქმული ქალაქი.

იქნებ კახეთის ბარაქამ — მტკვნარების სისავსემ, ჯეჯილის ღელვამ და თავთავის სიმაძღრემ აამღერა ჭაბუკის გული! იქნებ კავკასიონის მწვერვალთა სიდიადის ბრალია ჯადოსნურ ჰანგთა მეუფის ამღერება!

მშვენიერებმ სულის შეძვრა იცის, გულში შეღწევა და სიმთა ათრთოლება, ნაპირის გადმოხეთქვა და სიმღერად გადმოსკდომა. შოთას და აკაკის ოქროს კალამი უბოძა საგალობლად. საქართველოს სიყვარულში ყელამდე ჩაფლული ვაჟკაცი სიმღერით იოხებდა გულს.

მომსწრენი ამბობენ, აკაკის სიტყვებზე შექმნილ ფალიაშვილის უკვდავ „თავო ჩემოს“ აკვნესებდა თუ სავერდოვანი ხმით „ურმულის“, „მთაო გადმიშვისა“ და „მრავალჟამიერის“ ჰანგებს აფრქვევდა ვანო, კი არ მღეროდა, გალობდა, თვითონაც დნებოდა და მსმენელსაც ადნობდაო. ვანოს სიმღერა ლაღად მიიკვლევდა გზას პირდაპირ მსმენელის გულისაკენ, რომ იქ ჩაგუბებულიყო და სული და ხორცი ქართული მიწის სიყვარულით გაეკვლინა.

ქედუხრელი ქართველი ამთელა „აკვნესით გადამტყდარი ლერწმის სალამური“ — ერის გულში ცოცხალ ვანოს ახალი სული შთაბერა — საქართველოს ბულბულს დღეობა დაუწესა.

სიღნაღმა წლეულს მესამედ გადაიხადა ვანოობა — სიმღერის, ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის დღესასწაული.

30 მაისი.

ვარდობისთვის ღამაზი დღე უფრო გალამაზეს დედაქალაქიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, რაიონის მშრომელებმა, ახალგაზრდობამ. ქალაქის გულში, მოედანზე — იქვე ახლოს, სადაც ღამაზ სკვერში ყელმოღერებული ვანო — აბესალომი ეთერს უშღერის, უზარმაზარი ფერწერული ტილოს „სიღნაღის“ ფონზე საგანგებოდ აღმართული ტრიბუნა დაიკავეს რაიონის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა — მწერლებმა, სელოვნების მოღვაწეებმა...

აქვეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბოზიჩაიშვილი.

ზეიმში მონაწილეობა მიიღო ჯორის რაიონის მშრომელთა დელეგაციამ საქართველოს კომპარტიის ჯორის რაკომის პირველი მდივნის რ. ბზიშვილის მეთაურობით. ამ ორ რაიონს შორის დიდხანია გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება.

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა.

პირველი სიტყვა წარმოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. აბაშიძემ. მან გულთბილად ილაპარაკა „ვანობის“ მნიშვნელობაზე და ეს დღესასწაული წრფელი გულით მიულოცა სიღნაღელ მშრომელებს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პროფესორი ა. ბზირკაშვილი, დირიჟორი ვ. ფალიაშვილი, სიღნაღის ვ. სარაჯიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტი ე. თანდილაშვილი; ბ. ბერიაშვილმა წაიკითხა ვანოსადმი მიძღვნილი ლექსი.

ღია ცის ქვეშ მოწყობილი ესტრადიდან ათასობით მშრომელი გულს იტკბობდა „სასიამოვნო სიმღერებით. გეგონებოდათ საზეიმოდ მორთული ქალაქის მოედანზე სიმღერის დიდი მდინარე მიღელავდა და თავდამმართებლი ჩამავალ ვიწრო, ძველებურ ქუჩაბანდიებს სიმღერის ჰანგები მდინარის შხეფებივით ეფრქვეოდა.

კარგად თქვა პოეტმა: სიმღერა სულის გამწმენდია. ლექსს, მოთხრობას, მეცნიერებას, სპორტს შეიძლება ყველა არ ეტრფოდეს, სიმღერა კი ყველას უყვარს, ყველას აჯადოებს.

ამიტომაც ყოველ წელიწადს მაისის ბოლო კვირა ღღეს საქართველოს ყველა კუთხიდან ხალხის ტალღა მიაწყდება ერის ბულბულის აკვანს — სიღნაღს.

ალ. ბეგაშვილი.

მეგობრის ხსოვნას

რუბენ ვასილის-ძე სირაძე

(1900—1964)



სწორედ რომ მოულოდნელი იყო. ვინ იფიქრებდა, რომ სიცოცხლით სავსე, შემოქმედი, პოლისხმიერი და მარად მოუსვენარი ჟურნალისტი, შესანიშნავი ხელმძღვანელი და მეგობარი **რუბენ ვასილის-ძე სირაძე** ასე ადრე გამოგვეცლებოდა ხელიდან.

ცხოვრების მეტად სახელოვანი გზა ჰქონდა გავლილი ამ ორმოცდათხუთმეტი წლის, ბრძოლასა და შრომაში გაჭაღარავებულ, მჩქეფარე ენერგიის ადამიანს. იგი მრავალ წელს რედაქტორობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარას“, ამავე დროს იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

თავისსავე სოფელ კონჭკათში (ზახარაძის რაიონი) საშუალო განათლების მიღების შემდეგ რ. სირაძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დამთავრა 1939 წელს. შემდეგ სამამული ომის დაწყებამდე მუშაობდა საშუალო სკოლის დირექტორად. აქედან კი ფრონტზე წავიდა და 1945 წლამდე მამაცურად იბრძოდა. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ რ. სირაძე მუშაობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტის უფროს ინსპექტორად. 1946 წელს გადაყვანილ იქნა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ, მალე რ. სირაძეს აწინაურებენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. შემდეგ იყო პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და საეკონომიო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე. 1955 წელს აირჩიეს საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1958 წლის იანვრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი.

რ. სირაძე კომკავშირის რიგებში შევიდა 1930 წელს, ხოლო 1944 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. 1951 წლიდან იყო საქართველოს კომპარტიის აჭარას საოლქო კომიტეტის წევრი, არჩეული იყო აჭარის ასს რესპუბლიკის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარტიულ, საბჭოთა და ბჭონის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწეოკვლო მუშაობისათვის რ. სირაძე დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით.

გულისხმიერი, უმწეოკვლო და პრინციპული მუშაკი რ. სირაძე ყველგან და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებებს. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით.

თავმდაბალი და სპეტაკი კომუნისტის რ. სირაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა; გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ სარედაქციო კოლეგია; გაზეთ „სოვეტსკაია აჯარიას“ სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი

რუბენ ვასილის-ძე სირაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი

რუბენ ვასილის-ძე სირაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

1 ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

მშვიდობა ბავშვებს!

ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველ წუთს დედამიწაზე უდიდესი სასწაული ხდება — ქვეყანას ეკლინება ახალი ადამიანი.

ბავშვებში კაცობრიობის მუდმივი განაფხულია, ჩვენი მომავალია, ჩვენი უკვდავება. ეს მათ უნდა განაგრძონ სიცოცხლის ესტაფეტა, მათ უნდა დაადასტურონ ამ სიცოცხლის უწყვეტობა და დაუსრულებლობა, ეს მათ უნდა განაგრძონ მამების მიერ დაწყებული საქმე.

სსრ კავშირში ბავშვები ის ერთადერთი პრივილეგირებული კლასია, რომლის კეთილდღეობისათვის პირველ რიგში ზრუნავს საზოგადოება.

ბავშვებისადმი ასეთი დამოკიდებულება გვიანდერძა ლენინმა. ამ ანდერძისადმი ერთგულმა კომუნისტურმა პარტიამ ამოცანად დაისახა უზრუნველყოს თვითეული ბავშვის ბედნიერება და არაფერს იშურებს ამ დიდი მიზნის მისაღწევად.

ყველა ჩვენი ბავშვი სწავლობს, ყველა იზრდება მზრუნველი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ, გარემოსალია აღმზრდელთა და პედაგოგთა ფაქიზი ყურადღებით. 9 მილიონ 300 ათასი ბავშვი იზრდება საბავშვო ბაღებსა და ბაგებში, 49 მილიონ 400 ათასი გოგონა და ბიჭუნა ყოველდღიურად უჯდება სასწავლო მერხს.

ხუთწლეულის წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდი. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე, ეს სახსრები მოხმარდება სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის განვითარებას. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: გაუდიდდეთ მატერიალური დახმარება ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, გაუფართოვდეთ შეღავათები მომუშავე ქალებს — დედებს; შემოღებულ იქნას დახმარება იმ ოჯახების ბავშვთათვის, რომელთა საშუალო შემოსავალი ყოველ წევრზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში, გადადდეს ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის საჭირო ანაზღაურებული დღეების რაოდენობა; დაწესდეს ყველა მომუშავე ქალისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ანაზღაურება სრული ხელფასის ოდენობით, მაუხედავად შრომის სტაჟისა.

ბავშვი — ეს სიხარულია, იმედია, მაგრამ იგი აგრეთვე სადარდებელიც არის, პასუხსაგებიც. სწორედ მოზარდი თაობის ბედისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით არის ნაკარნახევი დაწესება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისა, რომელიც ყოველწლიურად 1 ივნისს აღინიშნება. დიახ, ასეთი დღე საჭიროა, რადგან ჩვენს პლანეტაზე არაან კიდევ ბავშვები, რომელთა დაცვა აუცილებელი ხდება ნაპალმის ბომბების, შიმშილისა და დაავადებებისაგან, კაცთმოძულე რასისტული იდეების პროპაგანდისაგან.

საბჭოთა ადამიანები მშვიდობისა და დემოკრატიის ყველა მომხრესთან ერთად თავიანთი პროტესტის ხმას იმაღლებენ ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ინდოჩინეთში, სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის ახლო აღმოსავლეთში.

დაე მშვიდობიანი ცა დაფათოდეს მთელი პლანეტის ბავშვებს!

ბედნიერი ბავშვობა.

ნახ. ლ. ფავლენიშვილისა.

ამინდი

ზაფხულის პირველი თვე

დადგა ზაფხული. როგორი იქნება წლევანდელი ივნისი? დასავლეთ საქართველოში პაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 20-25 გრადუსის, ხოლო მთიან რაიონებში 15-20 გრადუსის ფარგლებში, რაც ნორმაზე მეტია 1,5-2 გრადუსით. ნალექების მიხედვით ივნისი ნორმის ფარგლებში ჩაივლის. 9-11, 17-25 და 28-30 ივნისს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, თვის დანარჩენ დროს — უმეტესად მცირეღრუბლიანი და ზმანარჩენ ამინდი.

აღმოსავლეთ საქართველოში პაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 20-25 გრადუსის, მთიან რაიონებში კი 15-20 გრადუსის ფარგლებში. ნალექების თვიური ჯამი კახეთში იქნება ნორმის ფარგლებში, დანარჩენ რაიონებში კი ნორმაზე ნაკლები. 4-7, 17-24 და 28-30 ივნისს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, თვის დანარჩენ დროს უმეტესად მცირე ღრუბლიანი მშრალი ამინდი.

ა. იმნაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

საბჭოთა ფეხბურთელები — ჯგუფის ლიდერები

ძნელი გამარჯვება ევროპის პირველობის მეოთხედფინალში გასვლისათვის მოიპოვა 30 მაისს ლუჟნიკში სსრ კავშირის ნაკრებმა მეოთხე შესარჩევი ჯგუფის ლიდერებთან ესპანელებთან შეხვედრაში — 2:1 (0:0).

ახლა, ორი საკვალიფიკაციო მატჩის შემდეგ, სსრ კავშირის ნაკრებს აქვს ოთხი ქულა. ამდენივე ქულა აქვთ აქტივში ესპანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებს, მაგრამ მათ ერთი შეხვედრით მეტი აქვთ გამართული.

ეს მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა დაიწყეს მათთვის უჩვეულო მანერით: საკმაოდ ნელი ტემპით. ამასთან ისინი შეცდომებს უშვებდნენ გადაცემებში, ხოლო კომბინაციური თამაში არ გამოუდიოდათ. ესპანელი ფეხბურთელები კი ენერგიულად უტევდნენ, ხშირად უახლოვდებოდნენ ჩვენი გუნდის საჯარიმო მოედანს. დაცვის ბაზის მოთამაშენი გუნდის კაპიტნის შესტერნოვის მეთაურობით ზუსტად მოქმედებდნენ.

მეორე ტაიმში ჩვენმა ნაკრებმა უფრო აქტიურად დაიწყო თამაში. განსაკუთრებული წარმატებით მოქმედებდნენ საბო და კოლოტოვი. სწორედ ამ უკანასკნელმა 79-ე წუთზე გაიტანა გვი ნოდიას მიერ მიწოდებული ბურთი. ესპანეთის გუნდი, რომელსაც თითქმის ორი წლის განმავლობაში არ წაუგია შეხვედრა, ამ მომენტში დაიბნა. და აი კუთხიდან ჩამოწოდებული ბურთის გათამაშების შემდეგ ფედოტოვმა შევრენკოს მიაწოდა იგი და ამ უკანასკნელმა ლამაზი გოლი გაიტანა — 2:0.

მატჩის ბედი თითქოს გარკვეული იყო. მაგრამ აქ შეცდომა დაუშვეს ჩვენმა მცველებმა და მეკარე რუდაკოვმა. მათი დაუდევრობა გამოიყენა რეკსჩმა და ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი.

— ეს კარგი თამაში იყო. მაგრამ ჩვენ მეორე ტაიმში ხელიდან გავუშვით ინიციატივა და წავაგეთ, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლადისლაო კუბალამ. — არსებითად ჩვენ არ წაგვიგია მასპინძლებთან არც ტექნიკურად და არც ტექნიკურად. თავი იჩინა საბჭოთა ფეხბურთელების უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ. ჩვენს მოედანზე შევეცდებით ავიღოთ რევანში.

— მეესალის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი გუნდი ფაქტიურად ხელახლა შეიქმნა, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვალენტინ ნიკოლაევმა. — მის თამაშში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია, მაგრამ შემოდგომაზე, როცა გაიმართება უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩები, გუნდი მნიშვნელოვნად მომაგრდება. დღეს კარგად ითამაშეს მცველებმა და ნახეგარმცველებმა, მაგრამ მე არ ვარ კმაყოფილი თავდამსმენელებს, განსაკუთრებით ბანიშევსკის თამაშით, რომელიც ნაკლებად იჩენდა ინიციატივას.

აი რა შემადგენლობით გამოდიოდნენ გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრები: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნოვი, ზიკოვი, კაპლიჩნი, კოლოტოვი, მუნტიანი, (58-ე წუთზე — ფედოტოვი), საბო, ბანიშევსკი (77-ე წუთზე — გ. ნოდია), შევჩენკო, ევრიუუფიანი;

ესპანეთის ნაკრები: ირიბარი, სოლი (70-ე წუთზე — ანტონი), გალეგო, ბენიტო, ტონინო, ვიოლეტო (62-ე წუთზე ლორა), რეკსაჩი, კლარამუნტი, ამანსიო, ურიარტე, ჩურუკა.

სსრ კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების საპასუხო მატჩი დანიშნულია 27 ოქტომბერს მადრიდში.

ა. კაჩალოვი,
(საკდესის კორ.).

ესპანეთშიც გამარჯვება

წარმატებით დაიწყო საბჭოთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდმა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი ფეხბურთში. პირველი შეხვედრა ჩვენს ფეხბურთელებს ჰქონდათ ესპანეთის ნაკრებთან ქალაქ მალაგაში და გაიმარჯვეს 2:1.

ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა მოსკოვის დინამოელმა ჟუკოვმა, 6 წუთის შემდეგ ესპანელებმა წონასწორობა აღადგინეს. გადამწყვეტი ბურთი მასპინძელთა კარში მესამოცე წუთზე მოსკოვის ტორპედოელმა გერშკოვიჩმა გაიტანა.

იცით თქვენ ეს?

ივნისი. ეპრილი?

ვარაუდობენ, რომ ზაფხულის პირველი თვის სახელი წარმოსდგა რომაელთა ქალღმერთ იუნონას მიხედვით (ოჯახისა და ახალშობილთა მფარველი, ცისა და ნაყოფიერების ქალღმერთი. ბერძენთა ჰერა). ზოგი კი ფიქრობს, რომ მას ეს სახელი ეწოდა რომის პირველი კონსულის იუნიუს ბრუტოსის პატივსაცემად, რაც ნაკლებ დასაჯერებელია. ფრანგები უწოდებდნენ პრერიალს (მდელოს თვეს), ინდიელები — მარწყვის თვეს, სლავები — ყვავილების თვეს, რუსები — ვარდოვანს.

ჩვენში ივნისში იცოდნენ უსანეთობა (მეჯვრისხევში), 29 ივნისს კი პეტრე-პავლობა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. დასავლეთ საქართველოში ივნისის თვეს „ივანობის“ თვეს ეძახდნენ (იოანეს შობის დღე — 24 ივნისი). თვის სახელების წარმოება საკულტო დღეების სახელებისაგან წარმართული ხანიდან გადმოვიდა ქრისტიანულ ეპოქაში (მარიამობა, გიორგობა, ივანობა და სხვ.).

ივნისს ხშირად შეცდომით აღნიშნავენ ძველი ქართული სახელწოდებით მარიალისით, მარიალით. მარიალი კი ძველ წარმართული სახელწოდებაა არა ივნისის თვისა, არამედ მარტისა. იგი „მიჰრაკანის“, მირკანის (მარტი) პარალელურად იხმარებოდა.

საერთოდ კი ივნისის ქართული ხალხური სახელწოდებაა თიბათვე.

ახლა ივნისის თვეში ჩვენს ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი საზეიმო დღე აღინიშნება.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲐᲛᲘᲜᲝᲗ

პრეტენდენტთა მატჩები

Ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ Დ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა გროსმაისტერების ე. გელერისა და ვ. კორჩნოის მეოთხედფინალური მატჩის მერვე პარტია ჰავანაში 28 მაისს არ შემდგარა ე. გელერის ავადმყოფობის გამო. ეს პარტია მეტოქეებმა გუშინ გათამაშეს მოსკოვში. 38-ე სვლაზე გაიმარჯვა ვ. კორჩნოიმ. ანგარიში გახდა 5,5:2,5 ლინინგრადელი გროსმაისტერის სასარგებლოდ. ამრიგად, ვ. კორჩნოიმ მატჩი ე. გელერთან მოიგო და ნახევარფინალში ტ. პეტროსიანს შეხვდება.

Ბ. ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲣᲐᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

ᲚᲐᲢ-ᲞᲐᲚᲜᲐᲡᲘ (ესპანეთი) ფინეში აქვს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩს ჭადრაკში დანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გროსმაისტერებს ბ. ლარსენსა და ო. ულმანს მოერის. აქ გათამაშდა ცხრა პარტია. უკანასკნელსწინა მეცხრე პარტია 43-ე სვლაზე გადაიდო, სადაც დანიელი გროსმაისტერი მცირე ბოზიციურ უპირატესობას ინარჩუნებს.

უკანასკნელი ტურის წინ

ᲝᲡᲢᲠᲘᲓᲘ. თბილისელი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია სათავეში უდგას ეუროსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე საზონათაშორისო ტურნირის ცხრილს. თექვსმეტტურის შემდეგ მას აქვს 12 ქულა და ერთი გადადებული პარტია პოლონელ რაძიკოვსკასთან. მეორე ადგილზეა ზატულოვსკაია (11,5 ქულა), რომელშაც უკანასკნელისწინა ტურში დაამარცხა იუგოსლავი მოჭადრაკე რ. იორგანოვიჩი. კონოპლოვოვას აქვს 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჯოზლოვსკაიას — 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია. რუბცოვამ მოაგროვა 7,5 ქულა.

ოთხგზის ჩემპიონი

სან-პაულოში დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა სსრ კავშირის და ბრაზილიის ნაკრებთა უკანასკნელ შეხვედრას. საბჭოთა კალათბურთელები ამ მატჩშიც აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 82:49 (40:26).

ამრიგად, სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც ექვსივე ფინალური შეხვედრა მოიგო, მეოთხეჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ჩეხოსლოვაკელი კალათბურთელები, ბრინჯაოსი — ბრაზილიელები.

რამდენიმე სტრიქონით

● **პრაღაში** უეფას ტურნირზე სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებმა გუნდმა ფეხბურთში მეოთხე ადგილი დაიკავა. უძლიერესნი იყვნენ ინგლისელები, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს პორტუგალიის გუნდი 3:0.

● **თბილისელმა** გურამ გუდაშვილმა ბაქოში მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ბადრო ტყორცნა 62 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი — „ბავშვობის უფლება“ (ქართულ ენაზე), 12.05 — ქართული მხატვრული ფილმი — „ფერიცვალება“; 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემები: „ასფურცელა“, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „რაზე მოგვითხრობენ ბავშვთა ნახატები“, 19.50 — „ცეოლითები სახალხო მეურნეობას“, 20.10 — ხალხური შემოქმედების პირველი სატელევიზიო რესპუბლიკური ფესტივალი (ხაშური, დუშეთი), 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — ახალგაზრდობისათვის — „ამბიტურიენტი-71“, 21.40 — „სპორტული მიმოხილვა“, 21.55 — მხატვრული ფილმი — „მკვდარი სეზონი“ (პირველი სერია).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „ტყის ზღაპარი“, 20.20 — მხატვრული ფილმი — „ორი თვვდორე“.

**2 ᲘᲕᲜ